დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა ლილუაშვილი

წევრები:

ალექსანდრე კეკენაძე

(თბილისი, 2023)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 202949159

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 მაისს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 4 მაისის N500143 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს და მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის მიმდინარეობისას შეისწავლა პროგრამის დაგეგმვა, განხორციელება, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გაეცნო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს და სასწავლო გარემოს, შეისწავლა განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, ჩაატარა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა დასკვნის პროექტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ დაფიქსირებულა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები გათალისწინებულია

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაციები:

2.1.1(2)

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი -10 ქულა, რეგულაციაში არ ჩანს შეფასების მაქსიმალური ქულა.

განვითარების რეკომენდაცია: რეგულაციაში განისაზღვროს მაქსიმალური ქულა ან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს პროცენტებში.

2.2.1(3)

რეკომენდებულია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელების დაწყებამდე უზრუნველყოს ტრენინგები იმ განმახორციელებელი პერსონალისთვის, რომლებიც მოდულური პროგრამების სწავლებაში პირველად ერთვებიან.

2.3.1

განვითარების რეკომენდაცია: კითხვარებიდან ამოღებულ იქნას ისეთი კითხვები, რომლებიც იძლევა რესპოდენტის იდენტიფიცირების საშუალებას, რითაც დაწესებულება შეძლებს, რაც შეიძლება გულწრფელი იყვნენ რესპოდენტები შეფასებისას, დაიცავს კვლევის ეთიკის წესებს. დაბადების თარიღის ნაცვლად ატრიბუტ კითხვებად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ასაკობრივი ჯგუფები, რასაც კოლეჯი გამოიყენებს მონაცემების ასკობრივ ჭრილში ანალიზისას.

ასევე ჩარჩო დოკუმენტებში ცვლილების საჭიროებისას ადრესატად განსაზღვროს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 აპრილის N03-07
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.დაწესებულება პროგრამის დამატების ინიცირებას რამდენიმე გარემოებით ხსნის, კერძოდ კოლეჯისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო ვერ მოხერხდა სასპორტო მიმართულების საგანმანთლებლო პროგრამის დამატება (ამ დრომდე ვერ დასრულდა ჩარჩო-დოკუმენტის მიღება, შესაბამისი რეგულაციების არარსებობის გამო). კოლეჯი ამ ეტაპზე ახორციელებს მხოლოდ მოკლევადიან მომზადების პროგრამებს ორ ლოკაციაზე თბილისსა და ქუთაისში. კოლეჯი გეგმავს გააფართოვოს საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრი და უპასუხოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით შეარჩია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლა-სწავლების განხორციელებისა და ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ჰქონდა. დაწესებულება დაეყრდნო როგორც არსებულ პროგრამაზე აპლიკანტების მხრიდან მაღალ მოთხოვნას (vet.emis.ge-ს მონაცემები), ასევე უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევას . გამოკითხული დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ მათთვის პრიორიტეტული მნიშვნელობისაა შემდეგი უნარები, რომელსაც ფლობენ თანამშრომლები მათი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. კერძოდ:

- კომპიუტერული უნარები - არსებითად მნიშვნელოვანი 36%, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი 47%, უმნიშვნელო/არარელევანტური 17%;
- ტექნიკური უნარები (მოწყობილობების, ხელსაწყოების, მასალების გამოყენება) - არსებითად მნიშვნელოვანი 38%, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი 44%, უმნიშვნელო/არარელევანტური 18%;

კვლევის მიხედვით ტექნიკოსების და დამხმარე სპეციალისტების პროფესიით 8%-ით იზრდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, რაც პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის ერთ-ერთი მტკიცებულებაა.
კოლეჯს მისიით განსაზღვრული აქვს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების უზრუნველყოფა.
დაწესებულებას 7 წლიანი სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქვს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა და შემდგომი განვითარება.
პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და

შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. რეგულაციით განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (10 ქულა), რეგულაციაში არ ჩანს მაქსიმალური ქულა. **განვითარების რეკომენდაცია:** რეგულაციაში განისაზღვროს მაქსიმალური ქულა ან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს პროცენტებში.

პროგრამის დაშვების წინაპირობა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულს.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა, ასევე კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგიას, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას, ადამიანურ რესურსს, კოლეჯის მატერიალური რესურსის რაოდენობას და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას, ორ ცვლაში სწავლების ორგანიზებას. დაწესებულებას ბრძანებით განსაზღვრული ჰქონდა პროგრამის ზღვრული ოდენობა -12 პროფესიული სტუდენტი, 24 პროფესიული სტუდენტის მიღებას გეგმავდა ორ მიღებაზე, პროგრამის ხანგძლივობიდან გამომდინარე მიეცათ რეკომენდაცია, რომ 24 პროფესიული სტუდენტი შეუძლიათ მიიღონ ერთ მიღებაზე, არსებული რესურსის გათალისწინებით. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია, შეიტანა შესაბამის ბრძანებაში ცვლილება, პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა ერთ მიღებაზე განისაზღვრა - 24 პროფესიული სტუდენტი, ორ ჯგუფად სწავლების შესაძლებლობით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს.

6.საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის -დირექტორის ბრძანებით; პროგრამა შემუშავებულია დაწესებულების მიერ პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტზე - „ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology“ დაყრდნობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია და სტრატეგიული გეგმა;
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროგრამის დამტკიცების ბრძანება და პროგრამის პაკეტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულება გეგმავს პროგრამა განახორციელოს ქ. თბილისში ნინოშვილის N55-ში მდებარე სასწავლო ფართში. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 24 პროფესიული სტუდენტით (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია A, და B გარემო, A გარემო რომელშიც განთავსებულია - მაგიდები და სკამები პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი,დაფა და პროექტორი. B გარემო სადაც განთავსებულია: კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისათვის, ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, პრინტერი, პროექტორი, დაფა, კარადა, და აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობა. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 2 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით და მათთან გასაუბრებით.

ერთი განმახორციელებელი პირი მოაზრებული იყო ორი მოდულის (რაოდენობრივი წიგნიერება, მეწარმეობა 1) განმახორციელებლად. პირადი საქმით არ დადასტურდა აღნიშნული პირის კომპეტენცია მეწარმეობის მიმართულებით.

გასაუბრებისას აღნიშნა, რომ გავლილი აქვს მხოლოდ ტრენინგი ამ კუთხით. დაწესებულებას მოდულის „მეწარმეობა 1“-ის განმახორციელებლად განსაზღვრული ჰყავდა 2 პირი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული მოდულის განმახორციელებლად დატოვოს მხოლოდ 1 პირი. შესაბამისი ცვლილებები შევიდა პროგრამასა და მის დანართებში. განმახორციელებელი პერსონალის ნაწილს აქვს მოდულების განხორციელების გამოცდილება, ასევე გავლილი აქვთ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები პროფესიულ განათლებაში შეფასების სისტემის შესახებ. **რეკომენდებულია** დაწესებულებამ პროგრამის განხორციელების დაწყებამდე უზრუნველყოს ტრენინგები იმ განმახორციელებელი პერსონალისთვის, რომლებიც მოდულური პროგრამების სწავლებაში პირველად ერთვებიან.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; დაწესებულებას საწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა, პროგრამის განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობა, პროგრამის დამატების მიზნებისთვის საჭირო აქტივობებში მონაწილეობა -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ძირითადი დოკუმენტებისა და მოდულების ადაპტირებაში ჩართულობა, მიმართვის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტების შექმნის პროცესში მონაწილეობა და პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების კონსულტირება. დაწესებულებას გამოცემული აქვს 2023 წლის 13 აპრილის N03-05 ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია შეთანხმება. ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც არის CISCO-ს ინსტრუქტორი. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები, სადაც ჩატვირთულია ელექტრონული წიგნები, იქვეა განთავსებული პრინტერი სკანერით, რომლის გამოყენებაც შეუზღუდავად შეუძლიათ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს. დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საკანონმდებლო მაცნესთან, რომელიც საშუალებას აძლევს წვდომა ჰქონდეთ განახლებულ საკანონმდებლო აქტებთან.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6.სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს: სასწავლო ფართის ადაპტირებას, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას. დაწესებულებას სსს მქონე პროფესიული სტუდენტი ან მსმენელი არ ჰყოლია.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტით განსაზღვრულია პროგრამის შემოსავლები და ხარჯები. გაანგარიშებულია რენტაბელობის ზღვარი. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების შესაბამისად პროგრამა ფინანსდება პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერი (საკადასტრო კოდი N 01.16.01.014.017);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროგრამის ხელმძრვანელის დანიშვნის ბრძანება;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შეთანხმება;
- საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრება;
- პროგრამაში ცვლილების ბრძანება N03-13, 10/05/2023;
- შესყიდვის აქტები;
- მიღება-ჩაბარების აქტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი. რეგულაციის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს:

- პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;
- სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;
- მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება;
- ვერიფიკაციის პროცესს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდება პროფესიული სტუდენტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, პარტნიორი ორგანიზაციის/ დამსაქმებელის,კურსდამათავრებულის პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების, ადმინისტრაციის/დამხმარე პერსონალის კითხვარების გამოყენებით. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს საკონტაქტო საათზე დასწრების ფორმა.

კითხვარები მოიცავს რესპოდენტების მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი). კვლევისას მნიშვნელოვანია ანონიმურობის და კონფიდენციალობის დაცვა. **განვითარების რეკომენდაცია:** კითხვარებიდან ამოღებულ იქნას ისეთი კითხვები, რომლებიც იძლევა რესპოდენტის იდენტიფიცირების საშუალებას, რითაც დაწესებულება შეძლებას რაც შეიძლება გულწრფელი იყვნენ რესპოდენტები შეფასებისას, დაიცავს კვლევის ეთიკის წესებს. დაბადების თარიღის ნაცვლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ატრიბუტ კითხვებად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ასაკობრივი ჯგუფები, რასაც კოლეჯი გამოიყენებს მონაცემების ასკობრივ ჭრილში ანალიზისას.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი ითვალისწინებს შეფასების შედეგების განვითარებაზე ზრუნვას კოლეჯი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე რეგულაციაში აღნიშნულია, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მიმართავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ინიცირებით. ვინაიდან კვალიფიკაციების განვითარებაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო სასურველია რეგულაციაში მოხდეს ინფორმაციის განახლება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი
შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიული სტუდენტის კვირეული სასწავლო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია კალენდარული გეგმის შედგენის მეთოდოლოგია და წარმოგენის ფორმა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.დაწესებულება რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე მომხდარა სასწავლო პროცესის მის საჭიროებებზე მორგება.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. პროფესიულ მოდულებში სწავლის მეთოდებად განსაზღვრულია ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, შემთხვევის შესწავლა, როლური თამაში, დისკუსია და სახვა. პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი იცნობენ ამ მეთოდებს და აპირებენ გამოიყენონ სასწავლო პროცესში. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მექანიზმები.

5. დაწესებულება პროგრამის ფარგლებში არ თანამშრომლობს რომელიმე კომპანიასთან.

6. .სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები. კოლეჯის სასწავლო/სამუშაო გარემოში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმების დაცვა. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამის პაკეტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. შეფასების სისტემა ეფუძნება კომპეტენციის დადასტურებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტსი, ჩეკ-ლისტის და უწყისის ფორმები. დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ წინა ვიზიტისას გაცემულია რეკომენდაცია „სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტში დამატებით გაიწეროს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები და განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს: რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს - უკვე გამოყენებული თუ ახალი.“- დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და გაწერა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულებას შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს განმეორებითი შეფასებისას იმავე შეფასების ინტრუმენტს იყენებს თუ ახალს, არ მიიჩნიეს აუცილებლობად აღნიშნულის რეგულაციის სახით გაწერას. შეფასების ინსტრუმენტს შეარჩევს შემფასებელი პირი.
2. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ წინა ვიზიტისას გაცემულია რეკომენდაცია „სასურველია ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავდეს შერჩევის პრინციპს, მოცულობას, რისკების სისტემას (განხორციელდეს მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი,პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა) და ვერიფიკაციის პროცესის დეტალურ აღწერას. ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა ასევე შემუშავდეს სამოქმედო გეგმა შემდგომი ნაბიჯებისთვის“. აღნიშნულ რეკომენდაციების გათვალისწინებით დაწესებულებამ შეიმუშავა „შეფასების ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექანიზმები“, რომლითაც რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცედურები, განსაზღვრულია პროცესში ჩართული პირები.
3.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით შენახვა;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები;
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

23.05.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: